F75
1914

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

1914 თებერვალი № 4



ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მე-X. № 4. თებერვალი, 1914 წ.

F 240

ბიბლიოთეკა

ზამთარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

I — ზამთარი, — სურათი. 1

II — გამომშვიდობება მერცხლისა, — ლექსი შოთ მდვიმელისა 3

III — ბიძინას მოგზაურობა, გ. თამრიშვილისა . . 5

IV — წიწილას და ქორის ამბავი, — (თარგმანი) ივ. როსტომაშვილისა. 12

V — ხარაზი და ნეფე კაცი, — ბ. ახოსნიერელისა . . . 19

VI — გასართობი: გამოცანები ლ ამოცანების აღსნა. . 21

VII — წერილი მშობლების მიმართ 23

ტფილისი, ელექტ.-მბეჭდ. ა. ძერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გამომშვიდობება მერცხლისა.

ჩემი წასვლის ჟამმა დაჭკრა,
ჩემი წასვლის იკვრის ზარი:
შემოდგომამ მოატანა—
ფერსა ცვლილობს მთა ტ ბარი.

ნელი სიო ზაფხულს გაჭვა,
მოზუზუნებს ცივი ქარი;
ვიცი, ვიცი—არ დამინდობს,
თუ მომასწრობს აქ ზამთარი.

მშვიდობით, თქვენ გენაცვალეთ,
გზა მაქვს მეტად შორეული,
ემაწვილებო, გეთხოვებით
გულზე ნაღველ-მორეული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ იმედს, იმ ტკბილ იმედს,
გეფიცებით ჩემ წილ ღმერთსა,
არა ვკარგავ, კიდევ ვნახავთ
გაზაფხულზე ერთმანეთსა.

მოვფრინდები საშობლოში
კვლავ გალობა ჭიკჭიკითა,
დავსტკბები და გავიხარებ
თქვენის ხილვა-ტიკტიკითა.

მოგიყვებით მრავალ ზღაპრებს
შორის ზღვის და მთებისახა,
თუ კარგს ამბავს დამახვედრებთ
თქვენი სწავლა-ქებისახა...

ჩემი სწავლის ჟამი დადგა,
სევდიანი და გულ-მწარი;
შორს მისტუმრებს, ემაწვილებო,
უნებურად მე ზამთარი.

მაგრამ აქეთ წამოსვლისას
იქაც დაჭკრავს ლხენის ზარი;
არ დაღონდეთ, გაზაფხულზე
ისევ აქ ვარ მეგობარი!..

შიო მღვიმელი.

ბიძინას მოგზაურობა.



აისის გასულს, ერთ კვირა დღეს საბავშვო ბაღში მოსიარულე ბალღები ქალაქიდან მცხეთის მიდამოების სანახავად ამოსულიყვნენ და სამხრეთისკენ გასაფრენ წეროებივით წყვილ-წყვილად დამწკრივებულნი ტეის ბილიკზე მიდიოდნენ.

უნდა გენახათ, რა ყურადღებით ისმენდნენ უფროსების აღსნა-განმარტებას. მეტადრე მოეწონათ სვეტი ცხოველი; „დიდ ფუფალაში“ (ასე ეძახდნენ თავიანთ ენაზე სვეტი-ცხოველს), როცა ლაპარაკობდა ვინმე, საიდანღაც, ძლიერ შორიდან, მგონი გუმბათიდან, დანალაპარაკის გამოძახილი მკაფიოდ მოისმოდა.

— ნეტავ ვინ უნდა იყოს?— შეეკითხა ცოტა არ იყოს გაკვირვებული თინა თავის ძმას ელიბოს.

ელიბოს ჯკვიანის სახელს ვერვინ წაართმევდა, ამიტომ პასუხი მზადა ჰქონდა:

— გუმბათში ჯაფარა იქნება დამალული, აი დეიდაანი რომ ჰყავთ, ისეთი, და ის აჯავრებს ყველას ლაპარაკს,— სთქვა ელიბომ და სხვას მიუბრუნდა. თინას რაღაც ეჯვი შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპარა ძმის ნათქვამში, უნდოდა არ დასთანხმებოდა, მაგრამ ვერა მოიგონა-რა, ამიტომ გაჩუმდა, კიდევ ეური დაუგდო და, რაკი ის ჯაფარა ალარ აჯავრებდა, თვითონ უცებ ერთი მაგარი დაიუვირა:

— აჭაჭ!!

უცებ ჩოჩქოლი შეიქნა.

— თინა, თინა! არა გრცხვენია, ასე რომ ჭუვირი?— შეეკითხა ალმზრდელი.

თინას მართლაც ძალიან შერცხვა და იქვე თავი იმართლა, წამომცდაო.

ჯაფარამ არ დაახანა და ისეთივე ეკვირილით უპასუხა, თითქოს ამბობდა: აქა ვარ, ნუ გეშინიანო.

როდესაც ალმზრდელი მოუთხრობდა ძველ ლეგენდას *), ვითომ ჯვარის საუდრისა და ,,დიდ ფუფალის'' გუმბათის შორის ჯაჭვი ეოფილიეოს გაბმული და აქედან დარქმეოდეს ,,ჯაჭვის საუდარი'',—ექვსი წლის ბიძინა უკვე ოცნებობდა— როცა გაიზრდება, დიდი კაცი იქნება და ისეთი წვერ-ულვაში ექნება, როგორც მამას აქვს, მოვა აქ და თავის ამსანაგების დახმარებით ისევ გააბამს ჯაჭვს. ბიძინას ოცნებას იქნებ საზღვარი არა ჰქონოდა, რომ ამ დროს ბატარა ელოს ეველა არ გაეცინებინა.

— ის ჯაჭვი დიდი იეო?—შეეკითხა ელო ალმზრდელს.

— დიდი, ძალიან დიდი.

— აი, ჩვენ მურიკას რომ აბია, ისეთი?—კითხვა დაიწეო გულუბრეეილო ელომ.

საერთო სიცილი იეო ბასუხი ამ კითხვისა. ბიძინას-კი სურდა ფიქრით მაინც გამოერკვია, თუ ჯაჭვი რა სიგრძისა იქნებოდა.

*) ლეგენდა—ამბავი, თქმულება წარსულის დროისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არმაზის გზაზე, აღმართს რომ ასცდებით, ვატარა-ძმა დორია, ტეით შემოხვეული; მწვანე ბალახებ შორის ბლომად თავი ამოუყვიათ ყვავილებს და სუნი საამური დგას.

აქ, ამ მინდორზე ისადილეს. საერთოდ წამოღებულ სადილს ბევრი არ დასჯერებოდა და საკუთარ აბგიდანაც საჭმელს ალაგებდნენ.

— სიკომ ნაზუქი მოშვარაა!—წამოიძახა ვატარა ელოომ, რომელიც თავის დეიდაშვილ სიკოზე ძლიერ გაჯავრებული ბძანდებოდა.

ყველამ ელოს შეხედა. მართლაც და ვინ გამოჩნდა ისეთი თავხედი და ავაზაკი, რომ ყველასთვის საყვარელ ელოს სიამოვნება დაუფუშა—სადილზე ნაზუქი არ აჭამა.

მაგრამ სიკოც კარგი ბიჭი იყო. ლექსები ბლომად იცოდა და ლეკურის თამაში შეუდარებელი. სიკო ამ საქმეს არ ისამდა.

— რაც ქალაქიდან წამოვედით, მე მაგასთან არ მიგსულვარ და აბგა-კი მხარზე ეკიდა, აბა მე როგორ მოვვარავდი!?—თავს იმართლებდა ლოყებ-ატკრეცილი სიკო.

ელო-კი ისევ წიწმატობდა და, სიკოს სახელის მაგიერ, „ქურდო, ქურდოო“—ეძახოდა.

საქმე მალე გამოირკვა: სიკო სრულებით უდანაშაულო გამოდგა.

თურმე ის ნაზუქი. რომლის გამო ასეთი ორონ-ტრიალი დატრიალდა, თვითონ ელოს არ შეეჭამა!

როცა „დიდ ფუფალას“ ათვალიერებდნენ, და თინა ჯავარას ეურს უგდებდა, ელო დიდ სვეტს ამოფარებული ორი ამხანაგით იმ ნაზუქს გიახლებოდა. იმ ორ ამხანაგს ჩხუბიცა-კი მოუვიდათ: არა ეს ნაჭერი ჩემია, არა ჩემიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელო სირცხვილისაგან კინალამ ტუეში არ დაიძვრა.

— დამავიწყდა, დამავიწყდას!— ძახილით თავს იმართლებდა.

მართლაც ელოს ნაზუქის შეჭმა სრულებით დაავიწყდა.

დილით დედამ სახლიდან გამოსტუმრებისას ჰატარა აბგაში ჩაუწყო ეგელი, ჰური, ორი მურაბით გაკეთებული ნამცხვარი და ერთი ნაზუქი.

— ეს ნაზუქი, შვილო, სადილზე ჭამე, დანარჩენი — როცა მოგინდესო, — დაარიგა დედამ.

დედის დარიგებიდან ეგელაზე უკეთესად ის დაახსოვდა, რომ ნაზუქი სადილზე უნდა ეჭამა და დანარჩენი—როცა მოუნდებოდა.

ეგელაფერი ჰირნათლად შეასრულა: ნამცხვარის ჭამა სადგურზედვე მოუნდა, ამიტომ იქვე გიახლათ. ეგელი და ჰური მცხეთამდის მატარებელში მოუნდა და გაათავა. ნაზუქი-ღა დარჩა, რომელზედაც სულმა წასძლია, დედის დარიგება დაავიწყდა და მიირთვა.

მალე ეგელას დაავიწყდა ნაზუქის ამბავი. ნასადილევს დიდი თამაში გაიმართა. ჯერ „თვალ-ხუჭუნა“ გააჩალეს, მაგრამ მალე ჩაშალეს, რადგან დასამალი ადგილი ვერ იშოვეს: ტუეში შესვლისა ეგელას ეშინოდა და მინდორზე დამალვა აბა ვის გაუგონია?!

მერე ბურთაობა გაიმართა. კარგა ხნის შემდეგ ეს თამაშობაც ჩაიშალა, რადგან ბურთმა ტუეში სეირნობა მოინდომა და ვეღარ იპოვეს.

მზე ტეის წვერს ეფარებოდა, როცა ჩვენი მოგზაურები მცხეთის სადგურისკენ წამოვიდნენ.

სადგურამდის გზა მშვიდობით გამოიარეს, თუ არ ვიანგარიშებთ ბიძინას ქუდის დაკარგვას, ელოს აბგის დახევას, ელიბოს ცხვირის დაჩხაჭნას და კიდევ ზოგიერთ ამგვარ წვრილმან აშბებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II

არა, სრულებით არა: მტრები არ იყვნენ ერთმანეთისა ბიძინა, ბაადურ და ვახუშტი.

რის მტრები, რა მტრები!?

დღეს მართალია წაიჩხუბნენ, მაგრამ არცერთ მათგანს არ ესმოდა სამტრო რომელთანა ჰქონდა—ეს უბრალო, სულ უბრალო შემთხვევა იყო. ჰირიქით, ძალიან კარგი მეგობრები არიან: უერთმანეთოდ ჩურჩხელასაც-კი არ შეჭამენ.

ბიძინა მათში უფროსი იყო, თვითონ სულ ექვსი წლისა. ვახუშტზე წლითა და ბაადურზე წელიწად ნახევრით იყო დიდი; ამიტომ მეტი ეშმაკობაც ეხერხებოდა.

დილით, როდესაც მაგიდაზე საამოვარი ხმა-მაღლივ რადაც ბურდღუნს გაბაბამდა, თითქოს უკმაყოფილოა და გაქცევას აპირებსო, ბიძინა უკვე მთქნარებითა და თვალების მილულვით ძლივს ტანისამოსს იცვამდა, ზარმაცად ჰირს იბანდა, ხშირად ხელებზე საპნის წასმაც-კი ავიწყდებოდა, და აბგაში საუზმეულობის ჩალაგებას შეუდგებოდა. საბავშო ბაღში სწავლობდა ბიძინა ბაადურ და ვახუშტისთან ერთად. თან ერთ წიგნს წაიღებდა და საუზმეულობას თავის დღეში არ დაივიწყებდა.

მანამ ჩაის ხმას შეუდგებოდა, მეორე ოთახში გავიდოდა, სადაც ხშირად არავინ იყო და იქ კუთხეში წითელ ლამპრით გაშუქებულ ხატთან დინჯად დადგებოდა და ილოცებდა:

— ფუფალავ, მიცოცხლე დედა, მამა, დიდი დედა, დეიდა დარო, ძია გიგო, კამფეტებს რომ მომიტანს ხოლმე. კიდევ მიცოცხლე დედა, გუშინ რომ ბურთი მიეიდა, მამა, კარგი ბიძინა გამომიყვანე, კარგი ბიჭი, დიდი ბიჭი. კიდევ მიცოცხლე ვახუშტი და ბაადური, კიდევ ყველა ამსანაგები. კიდევ ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენი და ჩვენ ბალასანას *) ფეხი მოურჩინე, თორემ ბალასანა სტკივა. კარგი ბიჭი გამოიზიეგანე!..

გაათავებდა ამ ლოცვას და ჩაის სმას შეუდგებოდა. ჯერ კიდევ შარშან ასწავლა დედამ ლოცვის თქმა. ბიძინამ ის ლოცვა მალე დაიგიწყა და ეოველ-დილა თავის საკუთარ ლოცვას ეტყოდა ხოლმე ფუფალას. თუ ვინმე გააჯავრებდა, ან რამე სურვილი ჰქონდა გულში-ნადები, ამ კუთხეში მოვიდოდა და აქ ეველაფერს ფუფალას ეტყოდა.

ეს ხუთი დღეა, მგონი, რაც ბალასანას სადღაც ფეხი მოსტეხეს. ბიძინა ხშირად მოუჯდება გვერდით ბალასანას, ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ნატკენ ფეხს ხელის გულზე დაიდებს და ცდილობს ანუგეშოს მეგობარი:

— ნუ გეშინია, გენაცვალე ბალასანავ, მალე მოგირჩება, ეოჩაღად იყავი.

ბალასანაც დაღონებულ, ტკივილისაგან ჩაშავებულ თვალებს ბიძინას არ აშორებს და თითქმის ტკივილიც ცოტათი უამდება.

ჩაის სმა უამბოდ იმჟიათად გათავდებოდა: ან ჰირი დაეწვებოდა, ან ჩაი მაგიდაზე დაეღვრებოდა; მორჩა და გათავდა: ეს სრულებით საკმარისი იყო, რომ დიდ-დედას საეველურით ცხვირი გაეჩვრიტა.

— აბა შეხედე ბაადურსა და ვახუშტს, ისინიც შენსავით არ იქცევიან,—შეარცხვენდა დიდდედა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ჩაის დ·ღვრაში ან და ჰირის დაწვაში ბაადურ და ვახუშტი ბიძინაზე უფრო არამზადები იყვნენ.

ძლივს მეცხრე საათზე მოემზადებოდა წასასვლელად; ახლა ბაადურ და ვახუშტისთვის უნდა დაეძახნა, რომელნიც იმავე ეზოში ცხოვრობდნენ, ერთი—ჰირველ სართულში, მეორე—მეორეში; ორივენი მძინარები და მტირალები.

*) ძაღლის სახელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვახუშტი ჯერ ტირის, ამიტომ დაიგვიანებს! — ხმა-
გადმოსძახებდნენ გამზადებულ ბიძინას აივნიდან.

— ბაადურს ქამარი დაეკარგა; იპოვის თუ არა — წამო-
ვა, — ეტყოდნენ ჰირველ სართულში.

ცხრა საათი უკვე შესრულდებოდა, როცა ვახუშტი ტი-
რილს გაათავებდა და ბაადური ქამარს იპოვიდა.

სამი რაინდი გზას გაუდგებოდა.

რაკი საბავშო ბაღი სულ ახლოს იყო, გზას გააგრძე-
ლებდნენ ხოლმე. ყოველ მაღაზიაში საძიებელი ჯერ-ჯერით
შეიხედავდნენ, ყოველ გამვლელ-გამომვლელს გულ-მოდგინედ
ათვალიერებდნენ, თან ერთმანეთში ტკბილ ბაასს არა შლი-
დნენ.

საბავშო ბაღშიაც სამნი ერთმანეთს არა შორდებოდნენ.
ბაადურსა და ვახუშტისათვის ბიძინა დიდი ჭკვიანი ვინმე
იყო, ამიტომ ყველაფერს უგონებდნენ და მასთან თათბირობ-
დნენ.

ვ. თამროშვილი.

(დასასრული იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფიფილას და ქოქრის ამბავი

ედამ აჩუქა თავის ქალს მაროს ერთი ნაცარა, ქოჩორა ქათამი და უთხრა:

— მოუარე და შეიჩვიე, შვილო!

მარო ცოტითად უვლიდა ქოჩორას. დღეში ორჯელ აჭმევდა და არც სუფთა წყალს აკლებდა: ეოველ დღე ახალ-ახალს უსხამდა ჯამში.

გამოზაფხულებაზე ქოჩორამ დადო ხუთმეტი კვერცხი და მერე მოკრუსდა: ტანი გაუხურდა, თითქოს სიცხე მისცემიათ, და სულ საბუდრისაკენ იწევდა დასაჯდომად.

ანა დედაკაცმა უთხრა მაროს:

— იცი, რა გითხრა, მარო! წაიღე ეგ კვერცხები და უველა მოკრუსებულ ქოჩორას ერთად ჩაუწყეე ქვეშ, საბუდარში, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ სამი კვირის შემდეგ ამ ხუთმეტი კვერცხიდან ხუთმეტი ტივე მშვენიერი, ბუნჩულა წიწილა გეფოლებაო!

მაროს ისე გაეხარდა, რომ შეხტა-შეითამაშა და რა წამსაც დაინახა, რომ მისი ქოჩორა საბუდარში ჩაჯდა, მიიტანა ყველა კვერცხები და ქვეშ შეუწყო.

იამა კრუხს კვერცხების ჩაწყობა და უფრო მაგრად დაეკრა კვერცხებს, რომ არ გაცივდესო, კარგად გახურდეს და შიგ წიწილები წამოიზარდოსო. დღეში ერთხელ თუ გადმოვიდოდა საბუდრიდან, რომ ცოტა რამ შეეჭამა, ან წყალი დაელია და ფრთა გაეშალა-გაებღერტა, თორემ სულ კვერცხებზე იჯდა და საბუდარს არ შორდებოდა.

გავიდა სამი კვირა. ქოჩორამ იგრძნო, რომ კვერცხებში სიცოცხლე გაჩნდა, წიწილები მოძრაობენ, წივიან, და გულმა ფანცქალი დაუწყო: იმედი მიეცა, რომ ამოდენა მოთმინებამ მუქთად არ ჩაუარა ⸗ ის მალე მრავალ შვილების დედად გახდება. გრძნობამ, მართლაც, არ უმტყუნა და ერთხელ, როცა ის საბუდრიდან გადმოფრინდა ყელის გასასველებლად, სწორედ ამ დროს ერთი კვერცხიდან ჭაწაწა, ბუნჩულა, ოქროსავით ყვითელი წიწილა გამოძვრა და გაუთავებელი წივწივი მორთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიგონა „ჰირველას“ წივ-წივი თუ არა, კრუხი ბუდიდან საბუდარში დაბრუნდა, მიუალერსა ჰირმშოს და შეისო ფრთების ქვეშ, რომ გაათბოს და გააშროს.

შეიტეო ეს ამბავი მარომაც, მოირბინა, აიყვანა „ჰირველა“ და ფრთხილად გულში ჩაიკრა. მერე ისევ კრუხს შეუსო ფრთების ქვეშ და ახლა დანარჩენი კვერცხები გასინჯა. აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა გატეხილიეო და შიგ წიწილებს ნისკარტი უჩანდათ.

არ გავიდა ბევრი ხანი, რომ დანარჩენ კვერცხებიდანაც ნელ-ნელა გამოჭყვეს თავი სხვა წიწილებმაც და ბოლოს სულაც გამოძვრნენ. კრუხმა ეს დანარჩენი წიწილებიც ყველანი ფრთების ქვეშ შეისხა და ფრთხილად დაჯდა ზედ, რომ კარგად გაეთბო და გამოეშრო.

მეორე დღეს, როცა მზე საკმაოდ მაღლა წამოვიდა და ქვეყანა კარგა გაათბო, მოვიდა მარო, კრუხს სელი გადუსვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაამშვიდა, მერე გადმოსვა საბუდრიდან და თან წიწილებიც გადმოუსხა სათითაოდ, რადგანაც უიმისოდ კრუხი ისევ საბუ-დრისაკენ იწევდა; დაუფშვნიტა მაგრად მოხარშული კვერცხი და მოიწვია წიწილები საუზმეზე.

აქ კრუხმა ერთი ისეთი დაუკუტკუტა წიწილებს, რომ ყველანი წივ-წივით დედას მისცვივდნენ, თით-ქოს ეკითხებოდნენ: ,,აბა, რა გინდა, დედაჩვენოო"? დედაც ნისკარტით აჩვენებდა შვილებს, როგორ უნდა აეკენკათ და ეჭამათ საჭმელი.

ცხოვრობდნენ ასე ჩვენი წიწილები ბედნიერად; მაგრამ, როგორც ბევრს სხვას, ერთხელ ამათაც გადაჭრდათ თავს საშინელი ამბავი.

ის იყო გათენებულიყო, რომ მარომ გამოუტანა წიწილებს თბილ წყალში აზელილი სიმინდის ცომი, დაუყარა და უკან გამობრუნდა. მარო ჯერ კიდევ შესული არ იყო სახლში, რომ უეცრად კრუხის საშინელი კრიახი მოესმა. მოიხედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაინახა, რომ წიწილებს ქორი დასცემია და ,,ბორგად ,,ჰირველასთვის'' ჩაუვლია კლანჭები.

თავდადებული კრუხი რამდენჯერმე ღონივრად ეტაკა ქორს და სულ ბდღვირი აადინა ზურგიდან, მაგრამ, ბოლოს, ქორმა მაინც საწადელს მიაღწია, ასწია საწყალი ,,ჰირველა'' და ჰაერში აიფრიალა.

მორთო ერთი უშველებელი წივილი და კივილი მარო-მაც ,,ფუი, ფუი! ქორი, ქორიო!'' გაიგონა ეს მამამ, სტა-

ცა თოფს ხელი და გამოვარდა კარში. ესროლა ქორს თოფი და მთელი მუჭა ბუმბული გააყრევინა მტაცებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორი დაფრთხა, შეეშინდა, უშვა წიწილს კლანჭებიდან, თავ-გადაგლეჯით სადღაც ცხრა-მთას იქით გადიკარგა. „ჰირ-ველა“ კი ტყვიასავით დედამიწისაკენ წამოვიდა, მაგრამ და-შავებით ბევრი არც ამას დაუშავდა-რა, რადგანაც ხშირ, რბილ ბალახებში დაეცა.

F 494

მიირბინა გახარებულმა მარომ, აიყვანა „ჰირველა“ და კანკალით გულში ჩაიკრა. მერე წავიდა ძმებთან და სულ და-წვრილებით უამბო, თუ როგორ მოიტაცა ქორმა „ჰირვე-ლა“, როგორ ებრძოდა კრუხი ქორს, როგორ ესროლა მამამ თოფი, როგორ გააერევინა ბუმბული ქორს, როგორ უშვა ქორმა „ჰირველა“, და როგორ ტყვიასავით წამოვიდა „ჰირ-ველა“ დედამიწისაკენ, მაგრამ გადარჩა, რადგანაც რბილ ბალახებზე დაეცა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმებს იამათ „ბირველას“ გადარჩენა, გადაასხდნენ ფაეტ-ანთ წკეპლა-ცხენებს, მოაბრუნეს და ჭენებით ეზოში გაიჯირითეს.

დარჩა მარო თავისი „ბირველათი“, გამოუტანა საკენკი და კარგად გამოაძღო...

ივ. როსტომაშვილი.



ხარაზი და ნეფე*) კაცი.

(არაკი)



ერთმა სანეფო უმაწვილმა კაცმა ხარაზს ჩუსტები შეაკერვინა და ჰირობად დაუდო:

— ისეთი ჩუსტები უნდა შეიკერო, რომ სუთ თვეზე ადრე არ გაცვდეს.

სუთ თვეს ვინა ჩიგის, სამი თვეც ვერ გაუძლო!

გაბრაზებული უმაწვილი კაცი მიუვარდა ხარაზს და უსაყვედურა:

— ეს რა უხეირო ფეხსაცმელი შეიკერე, სამ თვეში სულ დაიგლეჯა?!

ხარაზმა გაიფიქრა: „ჩხუბსა და დავიდარაბას, სჯობია ტკბილი სიტყვით მოუგო გულიო, ეგების სხვა დროსაც მე შემაკერვინოსო.“

დაამშვიდა და ასე უპასუხა:

— თქვე დალოცვილის შვილო, ვისი ბრალია, რომ ლომიფით ვაჟ-კაცი ხართ და თქვენ სიმძიმეს და გოლიათ ტანს რკინის ფეხსაცმელი უფრო შეჰფერის, ვიდრე ტყავისაო?!

ეს სიტყვები ეკაწვილ კაცს ძლიერ ეამა და ისევ იმავე ხარაზს შეუკვეთა ფეხსაცმელი.

---

*) მდაბიურად მეფეს ნეფეს ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მეორე ფეხსაცმელის უიდვა იყო, რომ მეორე-ძმასაც დღეს დაინიშნა კიდეც ემაწვილი კაცი.

ჩქარა ჯვარიც დაიწერა.

ეს მეორე ფეხსაცმელი ბირველზე უფრო მალე გაუცვდა.

გულში გაიფიქრა: „მოდი ჩემ ცოლს იმ ხარაზისაკენ გავატარებ, კიდევ საეკვედურით მივმართავ; ვიცი, ხარაზი ისევე ქება-დიდებით მომიხსენიებს, და ეს კარგია, რადგან ახლად ჯვარ-დაწერილი ვარ და ჩემი ცოლის თვალში ავმაღლდებიო.“

ჩააცვლო თავის ცოლს მკლავში ხელი, ჩაუარა ხარაზს და დაუყვირა:

— რა ლმერთი გიწერებია, რომ ასეთ უხეირო ჩექმებს მიკერავ? ერთ თვეში სულ დაიგლიჯაო!

ახლა-კი ხარაზს ჯავრი მოუვიდა; არც აიღო, არც დაიღო და ასე უპასუხა:

— ვაჰ, შე დალოცვილო, შენ რომ დათვიცით დაათრევდე მაგ დამბლა ფეხებს, ჩემი რა ბრალიაო!..

ემაწვილ კაცს შერცხვა; ჩაღუნა თავი და თავის ცოლთან ერთად გასწია შინისაკენ.

ბ. ახოსპირელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოცანები.

(წარმოდგენილი დ. აბელიშვილის-მიერ)

I.

ერთსა ტრიალსა მინდორსა ერთი შაშვი სტისო;
ორთავ ფეხებს თავში იცემს, სისხლი არა სდისო.

II.

მივისედე-მოვისედე: ეველა გარბის ტიტველა;
მეც სასწრაფოდ გავიხადე და გავიქე შიშველა.

მე-2 №-ში მოთავსებულ ამოცანის და მე-3 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა:

1. ავიღოთ და ჯერ სამი ბლითი გავჭრათ ნახევარ-ნახევრად. გამოვა ექვსი ნაწილი; აქედან თითოს ერგება თითო ნაწილი; დანარჩენი ორი ბლითიც გავჭრათ სამ-სამ ნაწილად' გამოვა აქაც ექვსი ნაწილი; აქედანაც ერგებათ თითო ნაწილი. ამნაირად ხუთი ბლითი გაუნაწილეთ თანასწორად ემაწვილებს, თუმცა არც ერთი არ გაგვიჭრია ექვს თანაბარ ნაწილად.

2. ამირან გულში მღეროდა—მოუვარეე ბანი მითხარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი

(წარმოდგენილი შალვა ინასარიძის-მიერ).





სანთლის ანთება.

სურათზე როგორც არის ნაჩვენები, იმნაირად უნდა დაიჩოქოს ორმა; ერთს უნდა ეჭიროს ანთებული სანთელი—მეორეს-კი აუნთებელი და ეცადოს აანთოს ჰირველისაგან. ეს თითქოს ადვილი საქმეა; მაგრამ ნამდვილად-კი ძნელი შესასრულებელია ᲓᲐᲠᲐ ერთსელ და ორჯელ დაეცემა მოთამაშე, სანამ სანთელს აანთებდეს, და დიდ სიცილს გამოიწვევს დამსწრე საზოგადოებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი მეოცნებეების მიმართ.

ჩვენმა რედაქციამ განიზრახა მდგომარე წლიდან ჟურნალის ფურცლებზე დრო-გამოშვებით მოათავსოს ხოლმე პატარა მკითხველთა სურათების ჯგუფები.

თვითეული სურათის ქვეშ აღნიშნული იქნება სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი სურათის პატრონისა.

ჟურნალის მკითხველები შეადგენენ ერთ დიდ ოჯახს, რომლის ბინადრობა საშობლოს საზღვრებსაც-კი გაცილებულია. მთელ ამ ოჯახს, კრებას ჟურნალი აწვდის ერთგვარ გონებრივ და ზნეობრივ საზრდოს, უნერგავს ერთგვარ აზროვნობას, ფიქრს, გრძნობას, უღვიძებს ერთგვარ სასიქადულო მისწრაფებათ და, ამ მხრივ, ქმნადავს ერთ დიდ საზოგადოებას, ამხანაგობას, კავშირს, რომლის წევრად აუცილებლად, თავისდა უნებურად, ირიცხება თვითეული პატარა მკითხველი.

მერე ვინ იქნება იმის უარმყოფელი, რომ ეოველ ადამიანს აქვს სრულიად ბუნებრივი მოთხოვნილება და სურვილი იცოდეს ვინაობა, ქეავდეს საკუთარი თვალით ნანახი სახე თავისი მოკავშირისა, ამხანაგისა, თანამოაზრისა.

ბავშვი ეოველთვის სიამოვნებით ქფურცლავს ნასატები-ან ჟურნალს, იგი აღფრთოვანებული სალისით ქსინჯავს და აკვირდება იქ მოთავსებულ მაიმუნს, თაგვს, ძღარბს, ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამს, კალიას და მისთანებს. რა თქმა უნდა, ნაკლებ ინტერესებას არ იგრძნობს ივი, როდესაც მას თავისსავე მგზავსის არსების, სულიერ მეგობრის და მოკავშირის სახეს მიაწვდიან.

ვინ იცის, იქნება ბავშობაში ჟურნალის შემწეობით უცნობ ამხანაგის სახის ოდნავ თვალის მოკვრას შედეგად ისიც მოჰყვეს, რომ ეს ჰატარა ქართველები ოდესმე, მომავალში, როდესაც ცხოვრების სარბიელზე გამოსულნი, გარემოებათა ძალით, ერთმანეთს შეეხეჩებიან, მეგობრულად ხელი ხელს უფრო ადვილად გაუწოდონ, ნამდვილი ძმობა-ერთობის ალთქმა დასდონ და მხნედ შეუდგნენ საშობლო ქვეყნის და კაცობრიობის სამსახურს!

მოსალოდნელია აგრეთვე, რომ ჰატარა ქართველთა სურათების წელთა განმავლობაში შეგროვება შეჰქმნის მეცნიერთათვის სანუკვარ მასალას ქართულ ეთნოგრაფიის კვლევა-ძიებისთვის.

ამ მიზნის განსახორციელებლად „ნაკადულის“ რედაქცია უმორჩილესად სთხოვს მშობლებს ხელი შეგვიწეონ და მოგვაწოდონ ჰატარა მკითხველების ფოტოგრაფიული სურათები ჟურნალში მოსათავსებლად, სახელის, გვარის და საცხოვრებელ ადგილის აღნიშვნით.



რედაქტორი: ნინო ნაკაშიძე. გამომცემელი თ. პ ი. თუმანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.

(წელიწადი მეშვიდე)

1914 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა-და-სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკვე დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ეგვლა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველ-გვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი (4 მ.)** მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **სამ მანეთად**, საზღვარ გარეთ **6 მან.** 1914 წ. ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: **ილია ჭავჭავაძის, პესტალოცის, უშინსკის, რუსსოს და კომენსკის სურათებს.**

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში:** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში** ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიადში“, ამ ორ ადგილას და სამტრედიაში იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კ.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія
Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადული“-ზე

✦ წელიწადი მეათე ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით;

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

36 სურათს ნაკადულის I-ლ გვერდზე.

საჩუქრად 1914 წ. ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი **„მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები“** (მრავალი სურათებით) გიორგი ანთელიძისა.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მ. ნახევარ წლით—**3** მან., ცალკ-ცალკე მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3** მან., მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

საზღვარ გარედ: ერთი წლით **7** მ. ნახევარი წლით **4** მ.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ.

ხელის მოწერა შეიძლება

ტფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули,“ Головинскій пр. № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა-დოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, შ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. — **ფოთში** — თეოფილე კანდელაკთან. **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** ⊗ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვასო პაატაშვილთან. **ახალ ციხეში**— კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში**—ნინო ლომოურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან. **განჯაში**—ბ. ამბოქაძესთან. **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან. **სიღნაღში** —ნ. ახმეტელაშვილთან. **ყარსში** — ივ. საათაშვილთან. **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან. **ნახიჩევანში**—სამსონ მარჯანიშვილთან. **ხონში** —მ. ი. ჭავჭანიძესთან. **რაჭაში.**—მასწავლებ. ილია გოგიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**